ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3783484

ნომერი: AR1567541

თარიღი : 27.12.2017

გაცემის თარიღი : 18.01.2018

გაცნობის თარიღი : 23.01.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ბელიაშვილი , N 115 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზ თავართქილაძე პ/ნ 01015004708
- თბილისი ვერცხლის ქ. N 20

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 21 ოქტომბრის #1008 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 27 დეკემბერს #AR1567541 განცხადებით მომართა მალხაზ თავართქილაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 21 ოქტომბრის #1008 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საკადასტრო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ, ქ. თბილისში, დიღმის მასივში, ლაღიძის ქ. #7-ში (ს.კ.01.13.02.008.001) სამეურნეო ნაგებობის (დროებითი სტატუსი) აშენების მიზნით, 2009 წლის 21 ოქტომბერს დამტკიცდა #1008 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.

ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 14 ივლისის #2714 ბრძანებით, ცვლილება შევიდა აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში და საპროექტო ობიექტის ფუნქციად მიეთითა სამეურნეო ნაგებობა და სავაჭრო პავილიონი (დროებითი ფუნქციით).

სამსახურის 2014 წლის 30 ოქტომბრის №1567741 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი–დიდუბე, დიღმის მასივში, ლაღიძის ქ. #7-ში, შპს "ურანტი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #01.13.02.008.001) შეთანხმდა ავტოსერვისის არქიტექტურული პროექტი.

სამსახურის 2014 წლის 13 ნოემბრის №1593376 ბრძანებით, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 17 ნოემბრიდან 2015 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით.

ამჟამად, განმცხადებელი ითხოვს შეცვლილი საკადასტრო გეგმის დაფიქსირებას ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 21 ოქტომბრის #1008 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში. დადგინდა, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, საკადასტრო კოდისა და ფართობის უცვლელად. ამასთან, #AR1567541 წარმოდგენილია შპს „ურანტი“-ს დირექტორის, ზაალ აბაზაძის თანხმობა განსახორციელებელი ცვლილების თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს 2017 წლის 27 დეკემბრის #AR1567541 განცხადება და ცვლილება შეიტანოს ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 21 ოქტომბრის #1008 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 21 ოქტომბრის #1008 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს საკადასტრო გეგმა: (საკადასტრო კოდი #01.13.02.008.001; მიწის ნაკვეთის ფართობი: 4318 კვ.მ, განცხადების ნომერი; #882017723982; მომზადების თარიღი 13/10/2017 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (განცხადების რეგისტრაციის ნომერი #882017723982, მომზადების თარიღი 13/10/2017წ.);
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 21 ოქტომბრის #1008 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.